

ევრო-პალასი-გონიო
ფინანსური ანგარიშგება
01.01.2022 – 31.12.2022

ბათუმი
30.09.2023 წელი

ზოგადი ინფორმაცია

შპს „ვერო-პალასი - გონიო“ რეგისტრირებულია საქართველოში ქალაქი ბათუმი აკაკი წერეთლის N32, კომპანიის დამფუძნებელი და 100 % წილის მფლობელია შპს „ვერომშენი“, კომპანიას მართავს დირექტორი მერაბ მოსიძე 61005005179.

კომპანიის საქმიანობის სფეროა სამშენებლოება, იგი აშენებს მრავალსართულიან სახლს. კომპლექსი სადაც განლაგებულია საცხოვრებელი და კომერციული ფართები, აუზითა და მიწისქვეშა ავტო სადგომით.

კომპანია ფინანსურ აღრიცხვას აწარმოებს მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. სამუშაო და წარდგენის ვალუტა არის ქართული ლარი.

2022 წელს კომპანიაში დაიწყო და დასრულდა შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის მიერ ბრძანების საფუძველზე გასვლითი აუდიტორული შემოწმება. შემოწმების შედეგები ასახულია კომპანიის მოგება-ზარალისა და ფინანსურ მონაცემებში.

ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებად აღრიცხავს სამშენებლო საქმიანობისათვის საჭირო მიწის ნაკვეთს, ცალკეულ ინსტრუმენტებს, მექანიკურ მოწყობილობებს, საოფისე ინვენტარსა და ავეჯს, რასაც ერიცხება ამორტიზაცია მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად და შეადგენს 519,363 ლარს. კომპანია თავისი საქმიანობის ხარისხიანად შესრულებისათვის საჭირო ძირითად საშუალებებს (სპეც ტექნიკა, სამშენებლო დგარები და ა.შ) იყენებს მეკავშირე საწარმოებისაგან მიღებული მომსახურებებით რაზედაც ფორმდება მიღება-ჩაბარებები და იწერება შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურები.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლებისა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა და ზარალში.

მარაგები

კომპანიამ საკუთარი საქმიანობის მიზნებისათვის 2016-2017 წლებში შეიძინა მიწის ნაკვეთი ქ. ბათუმი ანდრია პირველწოდებულის გზატკეცილი N39, შეასრულა მოსამზადებელი სამუშაოები და 2018 წელს დაიწყო მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, აღნიშნული შენობის ასაშენებლად კომპანია ინტენსიურად აწარმოებს სამშენებლო სამუშაოებს, ყიდულობს სამშენებლო მასალებსა და მომსახურებებს, რაც აღირიცხება კომპანიის საბალანსო ანგარიშებზე, გროვდება ვიდრე შენობის დასრულებამდე და ქმნის სამშენებლო პროექტით განსაზღვრული სასარგებლო ფართის ერთეულის თვითღირებულებას, რაც საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის შეადგენს 3,829,273. სარეალიზაციო ფართის თვითღირებულება განისაზღვრება სამშენებლო პროექტში მოცემული საცხოვრებელი კომპლექსის შემადგენელი ელემენტების კანონმდებლობით დადგენილი ნორმების დაცვით საბოლოო მდგომარეობამდე გაწეული დანახარჯების ერთობლიობით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

საქმიანობის სფეროდან გამომდინარე კომპანია გაყიდვებისათვის იყენებს როგორც წინასწარი ასევე შემდგომი გადახდის მეთოდებს, მოქმედებს შიდა უპროცენტო გადახდის განვადებითი მეთოდიც. კომპანია ნასყიდობის ხელშეკრულებისა და წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში არეგისტრირებს მესაკუთრეებსა და მომავალ მესაკუთრეებს. კომპანიას ასევე აქვს ავანსად გაცემული თანხები რაც შემდგომში პროდუქციის (სამშენებლო მასალის) მოწოდებით განუღდება. აღნიშნულიდან გამომდინარე მისაღები მოთხოვნები შეადგენს 136,044 ლარს. გაფორმებული აქვს რა წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება ახალი შენობის ასაშენებლად შესაძენ მიწაზე ავანსად გადახდილი თანხაა 2,074,126 ლარი.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხება.

კომპანიას წინარე ნასყიდობის ხელშეკრულებების მოქმედების ფარგლებში მიღებული აქვს საავანსო თანხები რაც აღირიცხება საბალანსო ანგარიშების ვალდებულებების ნაწილში.

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას ერიცხება საბანკო ვალდებულება 581,188 ლარი აშშ დოლარის პირობითი ერთეულით ლარში რომელიც კომპანიამ აიღო პროკრედიტ ბანკისგან წლიური 7 % განაკვეთით.

ამონაგები

ამონაგები ფართის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება როდესაც მყიდველს მიეწოდება ფართი და გადაეცემა საკუთრების უფლება. კომპანია სარეალიზაციო ფასის შეთავაზებას განახორციელებს ეროვნულ ვალუტაში თუმცა სახელშეკრულებო ღირებულებები განისაზღვრება აშშ დოლარის პირობით ერთეულში ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშგებო პერიოდში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ავანსის გადაფასება არ ხდება აღნიშნულიდან გამომდინარე კომპანიის ფინანსურ აღრიცხვაზე საკურსო სხვაობები მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს. საანგარიშგებო პერიოდის ამონაგებს შეადგენს 2,097,534 ლარს

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძვნება წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას. კომპანიას საანგარიშგებო პერიოდში აღნიშნული ფინანსური განაცემი არ განუხორციელებია.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების მომზადების თარიღისათვის, წარსადგენი საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განხორციელებულა. პროექტის მიხედვით დარუღდა მშენებლობის ნაწილი და მიმდინარე თარიღისათვის კომპანია ყიდის ნაშთად დარჩენილ ბინებს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2022	31/12/2021
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6190	12891
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	136044	765243
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	2074126	0
მარაგები	0	0
მზა პროდუქცია	0	0
სხვა	0	0
საინვესტიციო ქონება	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	3829273	3882582
ბიოლოგიური აქტივები	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0
გადაფასების მოდელით	0	0
გუდვილი	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0
ძირითადი საშუალებები	519363	523070
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0
სულ აქტივები	6564996	5183786
ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულება	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	2056913	2452050
ანარიცხები	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	0	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	581188	819475
მიღებული გრანტები	0	0
სხვა ვალდებულებები	0	0
სულ ვალდებულებები	2638101	3271525
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	858862	0
საემისიო შემოსავალი	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	3068033	1912261
გადაფასების რეზერვი	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	3926895	1912261
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	6564996	5183786
სულ მოკლევადიანი აქტივები	6564996	5183786
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	2638101	3121815

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

საქმიანობის შედეგები	31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები	2097534	2491351
საქონლის გაყიდვიდან	2097534	2491351
მომსახურების გაწევიდან	0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	0	0
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	2097534	2491351
სხვა საოპერაციო შემოსავალი	661	8426
დასაქმებულთა ანაზღაურება	-318683	-608912
ცვტა / ამორტიზაციის ხარჯი	-26586	0
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	0	0
იჯარის ხარჯი	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-485070	-267945
სულ საოპერაციო ხარჯები	-829678	-868431
საოპერაციო მოგება	1267856	1622920
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და		
სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-20499	-185549
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი		
ოპერაციებიდან	1247357	1437371
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	1247357	1437371
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების		
რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების		
გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	1247357	1437371
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1912261	2023767
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა',		
კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	-787427
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	767277	-761450
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	3926895	1912261

ფულადი სახსრების მოძრაობა


ფულადი სახსრების მოძრაობა

	31/12/2022	31/12/2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	2799213	1597810
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	1689892	423974
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-4495806	-2016262
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-6701	5522
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	12891	7369
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	6190	12891

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია კომპანიის დირექტორის მერაბ მოსიძის მიერ 30,09,2023.

დირექტორი: მერაბ მოსიძე



ანგარიშსწორების შევსებაზე პასუხისმგებელი პირი:

ბუღალტერი: მარინე წითელაძე-მოსიძე

